დამტკიცებულია რექტორის 2023 წლის
4 აპრილის #02-123 ბრძანებით

სტუდენტ-მენტორის საქმიანობის წესი

მუხლი 1. **ზოგადი დებულებები**

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს ,,კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში“ (შემდგომში ,,უნივერსიტეტი“) სტუდენტ-მენტორთა შერჩევისა და მათი საქმიანობის წესებს.
2. სტუდენტ-მენტორი წარმოადგენს ახალბედა სტუდენტსა და ადმინისტრაციას შორის დამატებით მაკავშირებელ რგოლს.

მუხლი 2. **სტუდენტ-მენტორის საქმიანობა**

1. სტუდენტ-მენტორის საქმიანობის მიზანია პირველკურსელი და მობილობით გადმოსული სტუდენტებისათვის (შემდგომში - სტუდენტები) უნივერსიტეტის გაცნობა, საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩაბმა, სხვადასხვა მიმართულებით კონსულტირება და რეკომენდაციების მიცემა.
2. სტუდენტ-მენტორის საქმიანობა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:
   - 2.1.1. სტუდენტებს გააცნოს უნივერსიტეტის სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების მდებარეობა, ფუნქციები;
   - 2.1.2. სტუდენტების ინფორმირება უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების შესახებ, განსაკუთრებით სტუდენტის უფლება-მოვალეობები, საგამოცდო წესები, საფინანსო დეტალები, უნივერსიტეტის წამახალისებელი პროგრამები (გრანტები, სტიპენდიები, შეღავათები) და სხვადასხვა სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობები;
   - 2.1.3. სახელმწიფო ან/და კერძო სტრუქტურებში სტუდენტურ სერვისებთან დაკავშირებული პროცედურებისა და ეტაპების გაცნობა;
   - 2.1.4. სტუდენტების ინფორმირება ურბანულ საკითხებთან დაკავშირებით - ტრანსპორტი, საცხოვრებელი და სხვა;
   - 2.1.5. ჯგუფური საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზება ფაკულტეტებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ჩართულობით;
   - 2.1.6. უცხოელი სტუდენტების უნივერსიტეტში და ქვეყნის სოციუმში ადაპტირების სისტემის შემუშავება და დანერგვა, კულტურათა შორის დიალოგის განვითარება.
   - 2.1.7. სტუდენტური პროექტების ინიცირება და მხარდაჭერა;
   - 2.1.8. უნივერსიტეტის პერსონალის და სტუდენტების ერთობლივი ჩართულობით ეკო-გარემოს თანმიმდევრული შექმნის მხარდაჭერა;
3. სტუდენტ-მენტორი თავის ჯგუფთან საქმიანობას ახორციელებს უშუალო შეხვედრებით, ინდივიდუალური კონსულტაციებით, სოციალურ ქსელში ჯგუფური კომუნიკაციის საშუალებით, ტრენინგების, ექსკურსიებისა და სხვა შეკრებების მოწყობის გზით.
4. თითოეულ სტუდენტ-მენტორს ყავს თავისი სტუდენტური ჯგუფ(ებ)ი, რომელთან მენტორობის შესაძლებლობა აქვს მხოლოდ მას.

მუხლი 3. **სტუდენტ-მენტორის არჩევა**

1. სტუდენტ-მენტორად შეიძლება არჩეულ იქნას უნივერსიტეტის სტუდენტი რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:
   - ა) ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარი;
   - ბ) GPA 2.0 და მეტი;
   - გ) კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა;
   - დ) სოციალური ქსელების გამოყენების უნარი;
   - ე) ლიდერობის უნარი;
   - ვ) გუნდური მუშაობის უნარი;
   - ზ) ეფექტიანი კომუნიკაციის უნარი.

2. სტუდენტ-მენტორის არჩევა ხდება ფაკულტეტების მიხედვით სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით.
3. სტუდენტ-მენტორთა არჩევა ხდება რექტორის ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ვადებისა და რაოდენობის შესაბამისად კომისიაზე გასაუბრების წესით.
4. სტუდენტ-მენტორთა არჩევა ხდება რექტორის ბრძანებით 2 სემესტრის ვადით;
5. სტუდენტ-მენტორად არ აირჩევა დამამთავრებელი კურსის სტუდენტი.

მუხლი 4. სტუდენტ-მენტორთა მომზადება

1. სტუდენტ-მენტორის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს უნივერსიტეტის ახალგაზრდობის, სპორტისა და კულტურის სამსახური. სტუდენტ-მენტორის საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში ჩართულია ასევე უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული.
2. სამუშაოს ეფექტიანად განხორციელებისა და მენტორთა წახალისების მიზნით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა გადამზადებას შემდეგი მიმართულებებით:
   ა) კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მოწყობა ინგლისურ ენაში;
   ბ) ტრენინგ კურსების ორგანიზება ლიდერობაში, გუნდურ მუშაობაში, პროექტების წერაში და სხვადასხვა მიმართულებით;
   გ) პროგრამა „გონი“-ს ფუნქციებში და მის ეფექტურ გამოყენებაში;
   დ) უნივერსიტეტის სტრუქტურისა და უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების გაცნობა ტრენინგების მეშვეობით;
   ე) ზაფხულის და ზამთრის ბანაკის მოწყობა საგანმანათლებლო და შემეცნებითი დღის წესრიგით.
3. ვადის დასრულების შემდეგ სტუდენტ-მენტორებზე გაიცემა მენტორის პოზიციაზე სტაჟირების დამადასტურებელი სერთიფიკატი.
4. სტუდენტი-მენტორის მიერ გაწეული მუშაობის შეფასება ხდება სტუდენტების მიერ სემესტრის ბოლოს ელექტრონულად.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. აღნიშნული წესის დამტკიცებით ძალას კარგავს 2018 წლის 1 მაისს დამტკიცებული „სტუდენტ-მენტორის“ საქმიანობის წესი“.
2. აღნიშნულ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
3. წინამდებარე წესი ძალას კარგავს ახლის დამტკიცების შემთხვევაში.